პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 96 (5197) | ოთხშაბათი, 27 აპრილი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

კომუნისტებო! უფრო მტკიცე კავშირი უპარტიო მასებთან! საარჩევნო კამპანიაში მთავარია — არ გაემიჯნოთ უპარტიოებს, არამედ იმოქმედოთ უპარტიოებთან ერთად და მათთან ერთად წამოაყენოთ კანდიდატები, მრკვ შირეული და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ლოზუნგებიდან 1938 წლის 1-ლი მაისისათვის

სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა

სრული ორი თვის შემდეგ რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ მშრომელთა ათეული მილიონები საარჩევნო ყუთებთან მივლენ, რათა ხმა მისცენ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო და ღირსეულს, ლენინ - სტალინის საქმის ბოლომდე ერთგულ შვილებს. კიდევ უფრო ადრე—12 და 24 ივნისს—მოხდება არჩევნები დანარჩენ რვა მოკავშირე რესპუბლიკაში. საარჩევნო კამპანია დაიწყო ყველა თერთმეტ მოკავშირე და ოცდაორ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. იგი დღითი-დღე ვითარდება მზარდი აღმავლობითა და აღფრთოვანებით.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა არჩევნები მოხდება გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის — მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე. ეს არჩევნები იქნება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი უდიდესი ზეიმი. არჩევნებისათვის მზადების მსვლელობაში ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი სიხარულით გადაავლებს თვალს თავის ცხოვრებას, თავის აღორძინებასა და აყვავებას სოციალიზმის ცხოველმყოფელი მზის ქვეშ.

მათ წინ იშლება დიადი შედეგები, სასიხარულო პერსპექტივები! ხალხთა მეფისუფლე სპყრობილის ნაცვლად შექმნილია ურღვევი შეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების ძაფებით დაკავშირებულ თანასწორუფლებიან ნაციათა თავისუფალი კავშირი. ბრძოლისა და გამარჯვებათა განვლილი გზის შედეგად „ახლა ჩვენ გვაქვს საუსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეიძლებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალური სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში“ (სტალინი).

ნაციონალური ჩაგვრა კლასობრივი ექსპლოატაციის ღვიძლი ძმა იყო მუდამ. ყველაზე საზიზღარ ორგიებს მართავს იგი ახლა ფაშისტურ ქვეყნებში, სადაც ფინანსიური კაპიტალის ყველაზე რეაქციულ ელემენტთა გამხეცებული დიქტატურა ახორხობს და სთელავს ყოველივე ცოცხალს. პირისსისლიანმა ფაშიზმმა ძალიან შორს გაუსწრო ნაციონალური ჩაგვრის ყველაზე საშინელ ფორმებს, რასაც კი ისტორია იცნობს. იტალიის ფაშისტებმა დაიმონეს აბისინიის ხალხი. იტალია-გერმანიის ფაშისტი ყაჩაღები სისხლის მორევში ახრჩობენ ესპანეთის გმირ ხალხს, რომელიც თავგამოდებით იცავს თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. სისხლისმსმელი იაპონელი დამპყრობლები ჰფლეთავენ ჩინეთის დიდი ხალხის ცოცხალ სხეულს. სამარცხვინო „არიულმა პარაგრაფმა“ დაუბრუნა გერმანია ინკვიზიციის ყველაზე შავბნელ ხანას, ხოლო ზოოლოგიური შოვინიზმის პროპაგანდა აღვიძებს კაცჭამიობის ზნეჩვეულებებსა და ფსიქოლოგიას.

შოვინისტურ ვნებათა ღელვის დროს, რომელიც ჰუჭყიანი ტალღით სერის ყოველივე საუკეთესოს, რაც კაცობრიობას შეუქმნია, ახალი სამყაროს სალ კლდედ აღმართულა საბჭოთა კავშირი. ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოსპობილი არიან ექსპლოატატორული კლასები—ნაციონალური შუღლისა და წასისიანების პროვოკატორები. ძირფესვიანად აღმოფხვრილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რომელიც ურთიერთუნდობლობასა და ნაციონალისტურ ვნებებს ნერგავს. საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა (დიქტატურა) მტკიცედ და ურყევად უჭირავს ხელში მუშათა კლასს — ყოველგვარი დამონების შეურიგებელ მტერს და ინტერნაციონალიზმის იდეების თანამიმდევრობით გამტარებელს.

სოციალიზმის საფუძველზე მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა ცდა სრული გამარჯვებით დამთავრდა! არ არსებობს სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი დარგი, სადაც განხორციელებული არ იყოს სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთდახმარება. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს გიგანტურ სივრცეებზე არ არსებობს არც ერთი კუთხე, სადაც არ ჰყვავოდეს სსრ კავშირის ხალხთა კულტურა, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური.

ემზადებიან რა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის, ყირგიზები და უზბეკები, უკრაინელები და ბელორუსები, ქართველები და ტაჯიკები მადლობის გულწრფელი სიტყვებით მიმართავენ დიდ რუს ხალხს. მას, სამი რევოლუციის მოთავეს, რომელმაც გაანადგურა მტრების ურიცხვი ძალები, მას, რომელმაც ძმური დახმარება აღმოუჩინა წინათ ჩამორჩენილ და დაბეჩავებულ ერებს, ათეულ ენებზე მიესალმებიან მძლავრი საბჭოთა ოჯახის თავისუფალი, თანასწორუფლებიანი წევრები. რუსეთის სფს რესპუბლიკა—საბჭოთა რესპუბლიკების თანავარსკვლავედში პირველი თანასწორთა შორის—აღჭურვებს ახალი უდიდესი გამარჯვებებით ეგებება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. წლითი-წლობით იზრდება მისი ინდუსტრიის ძლიერება. სულ უფრო-და-უფრო უხვად აშკარავდება მისი თვალუწვდენი საკოლმეურნეო მინდვრების ბარაქიანობა. სულ უფრო-და-უფრო წარმტაცად ჰყვავის მისი კულტურა—მასების ნაძღვილი კუთვნილება.

გამარჯვებათა გზით უფროს ძმასთან ხელიხელჩაკიდებული მიდის ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა. უკრაინამ—1937 საბჭოთა კავშირის ბეღელმა—1937 წელს ხორბლის უფრო მეტი მოსავალი აიღო, ვიდრე გერმანიამ, პოლონეთმა და უნგრეთმა ერთად. მისმა ქარხნებმა უკვე 1936 წელს ერთიორად უფრო მეტი თუჯი მოგვცეს, ვიდრე მეფის მთელი რუსეთი ადრიდა. უკრაინის მსხვილმა მრეწველობამ 1913 წელთან შედარებით 7-ჯერ და უფრო მეტად გაადიდა საერთო პროდუქციის გამოშვება. თითქმის 4½ მილიონი ბავშვი სწავლობს უკრაინის 17.736 სკოლაში. უმაღლეს სასწავლებელთა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა მოსწავლეების რიცხვი თითქმის ერთიორად გაიზარდა რევოლუციამდელ დროსთან შედარებით.

მზიური საქართველო—საბჭოთა კავშირის მარგალიტი—წლითი-წლობით მიდის სოციალისტური აყვავების გზით. გაიზარდა მრეწველობის ახალი დარგები; მანქანათმშენებლობის, ფეროშენადნობთა, ნავთის, ცემენტის, კონსერვის, საფეიქრო და სხვები. საქართველო თავისი მიწის საუცხოო ნაყოფით—ჩაით, მანდარინით, ღვინით და თამბაქოთი—ამარაგებს მთელ სსრ კავშირს.

მეფის თვითმპყრობელობის კოლონიის—უწინ ჩამორჩენილი ყირგიზეთის სახე ისე გარდაიქმნა, რომ ვეღარ იცნობ. შექმნილია მნიშვნელოვანი მსხვილი მრეწველობა. ისევე, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკები, ყირგიზეთი მსხვილი სოციალისტური სასოფლო მეურნეობის ქვეყნად იქცა. მას აქვს 47 საბჭოთა მეურნეობა, 55 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, დაახლოებით 2.000 კოლმეურნეობა, რომლებიც აერთიანებენ 150.000-ზე მეტ გლეხურ მეურნეობას. რესპუბლიკას ჰყავს ათასობით მასწავლებლები, ასობით ინჟინრები, აგრონომები, მეცნიერი მუშაკები.

ასევე საუცხოოდაა ცხოვრება აყვავებული ბელორუსიასა და აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და უზბეკეთში, სომხეთსა და თურქმენეთში, შორეულ ტაჯიკეთში, ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში. მიწა და მისი წიაღი ყველგან ფართოდ გადაშლიან თავის სიმდიდრეებს თავისუფალი სოციალისტური შრომის წინაშე.

მაგრამ ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია ყველგან ადამიანთა—სოციალიზმის მშენებელთა უხვი მოსავალი. ჩვენს ქვეყანაში კიდითკიდეშდე ჰპურს უკრაინის წარჩინებული სტახანოველების—სტახანოვის, დეჩჩენკოს, მაზაის, კრივონოსისა და სხვების სახელი. საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკის ვაჟიშვილები და ქალიშვილები ერთად აშენებენ ბედნიერ სოციალისტურ ცხოვრებას, ჰქმნიან კულტურის თვალწარმტაც ნიმუშებს, გვიჩვენებენ ვმირობის სწორუპოვარ მაგალითებს.

„სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა კი დიდი და სერიოზული მოსაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალნი და უძლეველნი იქნებიან. სანამ ეს მეგობრობა სცოცხლობს და დღეგრძელობს, არავინ არ არიან ჩვენთვის საშიშნი: არც შინაური და არც გარეშე მტრები!“. (სტალინი).

დიადი მრავალერიანი საბჭოთა ხალხი ერთიანია თავის ერთგულებაში ლენინ-სტალინის საქმისადმი, თავის დარაზმულობაში ბოლშევიკების პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ. ამხანაგ სტალინის ირგვლივ. ჩვენი ქვეყნის ხალხი გამსჭვალულია მტკვნე სიძულვილით ფაშიზმის საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური დაქირავებული აგენტებისადმი, რომლებიც არავითარ ბოროტმოქმედებას არ ერიდებოდნენ, რათა დაენაწილებინათ საბჭოთა კავშირი, აღედგინათ ნაციონალური ჩაგვრა და დამონება. კიდევ უფრო გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე! ხალხის არცერთ მტერს არ ვაბოგინებთ საბჭოთა მიწა-წყალზე!

რამდენიმე დღის შემდეგ, 1 მაისის დიადი პროლეტარული დღესასწაულის დღეს, სსრ კავშირის ყველა ერის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ერთსულოვნად გამოვლენ საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების ქუჩებსა და მოედნებზე. მათს თავზე იფრიალებს ალისფერი დროშები მოწოდებით:

„სსრ კავშირის მშრომელნო! ამოირჩიეთ მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში ჩვენი სამშობლოს მამაცი პატრიოტები, ურყევი მებრძოლები მუშათა და გლეხთა ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის!“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს კიდევ უფრო განვამტკიცოთ კომუნისტების ბლოკი უპარტიოებთან

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორთა, მეცნიერ მუშაკთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა 2-ათასიანმა კოლექტივმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად დაასახელა ამხანაგები:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
მაკარი ივანეს-ძე ჯაში
ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე კეცხოველი

გუშინ, 26 აპრილს, სრულ 4 საათზე, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეზოში გაიხსნა პროფესორთა, მეცნიერ მუშაკთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. დამსწრენი, ერთი მიზნით გამსჭვალულნი, შეიკრიბნენ იმისათვის, რათა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კანდიდატებად დაესახელებინათ ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის ბოლომდე ერთგული ადამიანები, ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილები.

კრების ყველა დამსწრე დაძაბული ყურადღებით უსმენდა სიტყვებით გამოსულ ორატორებს. პირველად სიტყვით გამოვიდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარე ასპირანტი ამხ. ნინა ბერია.

— მხოლოდ ლენინ - სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების შედეგად,—გააცხადა მან,—მიღწეულ იქნა ის დიდი გამარჯვება, რომელიც ორდენოსანი საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს განვლილ მანძილზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

გამარჯვებული ქართველი ხალხი 12 ივნისს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში აირჩევს მუშათა კლასის საიმედო ადამიანებს. ეს დღე იქნება დიდი ზეიმის დღე, რომელიც კიდევ უფრო შეამკობრონვებს მშრომელ მასებს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო.

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დავასახელოთ ადამიანები, რომლებიც ბოლომდე გაამართლებენ მასებს ნდობას, მუდამ იქნებიან მათი ინტერესების დამცველნი.

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს!

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს დიდ სტალინს!

ორატორის ბოლო სიტყვები მჭუხარე ტაშის გრიალმა და „ვაშას“ შეძახილებმა დაჰფარა.

ამის შემდეგ ამხ. ნ. ბერიამ სიტყვა მისცა ინსტიტუტის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე კეცხოველს.

ამხ. ნ. კეცხოველის სიტყვა

ორდენოსანი საქართველოს მშრომელები 12 ივნისს ერთხელ კიდევ დაუმტკიცებენ მთელ მსოფლიოს, რომ ისინი, როგორც ერთი, დარაზმული არიან ბოლშევიკური პარტიის ირგვლივ, ჩვენი გამარჯვებათა ბრძენი ორგანიზატორის ამხანაგ სტალინის ირგვლივ.

დღეს ჩვენში ბედნიერია ყველა მშრომელი. ისინი აღფრთოვანებული არიან ნამდვილი ადამიანური თავისუფლებით. ამ ოცი წლის წინათ შორეულ ოცნებად გადაქცეული ბედნიერი ცხოვრება დღეს სინამდვილეა, ჩვენს ხელშია.

ვის არ ახსოვს საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თავისი კულტურულ შემკვდრეობაზე ხმას რომ ვერ იღებდა, ვის არ ახსოვს გამოუმეჟღავნებელი ნატვრა ქართველი ხალხისა, რომ ერთი კულტურული დაწესებულება ჰქონოდა, ვის არ ახსოვს გაუვალი ჭაობები და ციების შხამით მოწამლული კოლხიდის ტრამალები.

და დღეს გაჰხედეთ ორდენოსან საქართველოს, ცოტრუსოვან წალკოტად გადაქცეულს, აყვავებულ ქვეყანას. გაჰხედეთ კულტურის მრავალ კერას, 23-ათასიან სტუდენტობას, ათასობით მეცნიერ მუშაკებს...

აგრონომიულ ფაკულტეტზე დღეს 275 მეცნიერი მუშაკია და 29 კათედრაა. გვაქვს საშუალება ვაკეთოთ საყვარელი საქმე, კულტურისა და მეცნიერების ამ საჭიდლოში გამოვზარდოთ სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ახალი საიმედო ძალები.

მერე ვინ შეჰჭმნა ეს უჩვეულო კულტურა, ვინ გამო ქცანა მონობიდან მშრომელი ხალხი? ყველა ეს გამარჯვება გვარგუნა დიდმა სტალინმა, კომუნისტურმა პარტიამ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ იმას, ვისი სახელიც სიყვარულისა და აღტაცების გრძნობას იწვევს მთელი მსოფლიოს მშრომელებში, ადამიანს, რომელმაც მოგვანიჭა სასიხარულო და საამური ცხოვრება, რომელსაც მივყევართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე — დიდ სტალინს. (მჭუხარე ხანგრძლივი ტაში. ხმები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს“, „დიდება დიდ სტალინს“).

ამხ. ქ. დგებუაძის სიტყვა

ახალგაზრდობას მეცნიერებისაკენ ფართო გზა გაეხსნა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც ხალხს ათობობს და გზას უნათებს სტალინის ჩაუქრობელი ჭეზე, სადაც ხალხის თავისუფლების დიად სტალინურ ჭარტიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჩვენი გამარჯვებები. ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ დიდი სიყვარულის გრძნობით წარმოსთქვამს ბრძენი მასწავლებლის სახელს, რომელმაც შეგვიქმნა ნანატრი ცხოვრება.

ჩვენი ახალგაზრდობა მომავალ არჩევნებში ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს ბოლშევიკურ პარტიას თავის უსაზღვრო ერთგულებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ საიმედო ბოლშევიკს, თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. მაკარი ივანეს-ძე ჯაშს (მჭუხარე ტაში).

პროფ. ნ. ხაჭაპურიძის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენ, მეცნიერ მუშაკებს, სამეცნიერო მუშაობის ფართო ასპარეზი შეგვიქმნა მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ. სტალინური ეპოქის მეცნიერი მუშაკები ვამაყობთ და ბედნიერი ვართ იმით, რომ ვცხოვრობთ ასეთ აღორძინების ეპოქაში, ნიჭისა და გონების აღმავლობის ეპოქაში.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორთა, მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა 2-ათასიანი კოლექტივის სახელით საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ მიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, აქტიურ საზოგადო მოღვაწეს ამხანაგ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე კეცხოველს. (მჭუხარე ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას“, „გაუმარჯოს ჩვენს იმედს დიდ სტალინს“, „გაუმარჯოს ჩვენს კანდიდატებს“).

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელეს:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
სტეფანე სერგოს-ძე ქსოვრელი

2.000-ზე მეტი ტრამვაელი მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსები და ტროლეიბუსების მეურნეობის მუშები და სპეციალისტები შეგროვდნენ 26 აპრილს ტრამვაის ცენტრალური პარკის ეზოში დანიშნულ წინასაარჩევნო კრებაზე. კრება გახსნა ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის გაერთიანებული პროფორგანიზაციის წარმომადგენელმა ამხ. ლ. ლაფანაშვილმა.

ინჟ. კ. მეგრელიშვილის სიტყვა

— ამხანაგებო, 12 ივნისი საქართველოს ხალხის ისტორიაში წარუშლელ თარიღად დარჩება. ჩვენი შთამომავლობა იტყვის, როგ ამ დღეს საქართველოს მშრომელებმა აირჩიეს მოსახლეობის სულისკვეთების ნამდვილი გამომხატველი ორგანო—რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო. განა შეიძლებოდა სხვა რომელიმე ეპოქაში ისეთი საყოველთაო-სახალხო ბედნიერება, როგორც ახლა ჩვენ ყველანი ვართ? ეს შესაძლებელია მხოლოდ სტალინურ ეპოქაში, ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიადი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად.

საქართველო ორდენოსანი რესპუბლიკა გახდა, საქართველო აღორძინებისა და აყვავების გზაზეა. იბადება კითხვა, თუ ვისი წყალობით, ვისი დახმარებით, და პასუხი ყველას მზად აქვს: ლენინ-სტალინის პარტიის წყალობით, დიდი ბელადის, ხალხთა ძმისა და საამური და ბედნიერი ცხოვრების შემოჰქმედის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დახმარებით მიაღწია ჩვენმა ხალხმა დღევანდელ ბედნიერ დროს.

ამიტომ, ამხანაგებო, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ვასახელებ ხალხთა მამას ამხანაგ სტალინს. (ტაში. ისმის ხმები: „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს დიდს სტალინს“, „გაუმარჯოს სოციალისტური რევოლუციის ბრძენ მესაჭეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს“. ტაშის ხმა და ვაშას ძახილი დიდხანს არ ცხრება).

სტახანოველ დ. ტატუაშვილის სიტყვა

ტრამვაელო მუშებო და ინჟინერ-ტექნიკოსებო! ვის ავირჩევთ ჩვენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად, თუ არ ლენინ-სტალინია პარტიის ერთგულებს, თუ არ თავდადებულ პატრიოტებს ჩვენი სამშობლოსას. ჩვენს შორის ბევრნი არიან წარჩინებულნი და სახელგანთქმულნი ხალხის საქმისათვის ბრძოლაში. მათ სახელი გაითქვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა ფრონტებზე მუშაობით, ერთგულებითა და თავდადებით.

ერთერთი ასეთია ტრამვაის სახელოსნოების მექანიკური საამქროს ახალგაზრდა სტახანოველი, კომკავშირელი ამხ. სტეფანე სერგოს-ძე ქსოვრელი. მე მსურს დავასახელო იგი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

შ. ქიქნაველიძის სიტყვა

ტროლეიბუსების მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები აღფრთოვანებით ვეგებებით, 12 ივნისს, როდესაც უნდა მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან და ხმა მივცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ერთხმად მივესალმებით ჩვენი მოწინავე კომკავშირელი სტახანოველის ამხ. სტეფანე სერგოს-ძე ქსოვრელის დასახელებას უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ავირჩევთ რა მას დეპუტატად, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამხ. ქსოვრელი ღირსეულად გაამართლებს მის ამომრჩეველთა იმედებს.

კრებაზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები მიესალმენ ორივე კანდიდატის დასახელებას.

უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში

ბაქო, (საკდესი). აზერბაიჯანის სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1938 წლის 24 ივნისისათვის დანიშნა აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. 24 აპრილს დაიწყო საარჩევნო კამპანია.

დამტკიცებულია ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ადიგეზალ ხალილ-ოღლი **გეზალოვი** —პოლიტიკურ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე თამარ გრიგოლის-ასული **მანველიანი** — აზერბაიჯანის მედსაწოდრომის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი — სულთან ასადულა-ოღლი **კაფარ-ზადე** — ხაჩმასის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

ალექსანდრე მირონის-ძე **ბრეგერი** — ბაქოს კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

აჯარ იბრაჰიმ-ოღლი **ზულფუგაროვი** — აზერბაიჯანის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციისაგან.

ნინო დმიტრის-ასული **კამენოვა** —კავკასიის ნავთსარეწაოთა მუშების პროფესიული კავშირისაგან.

ფუად ალადინ-ოღლი **ეფენდიევი** —უმაღლესი სკოლის და მეცნიერულ დაწესებულებათა მუშაკების პროფესიულ კავშირისაგან.

მუსტაფაბეკოვი—ანდრეევის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან.

პეტრე თედორეს-ძე **ვორობიოვი** — სტალინის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ჰასან ალი რიზა-ოღლი **ალიევი**— სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის მუშაკთა კოლექტივისაგან.

თადეოზ მარკოზის-ძე **ბაგდატიევი** — აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელმძღვანელი საზოგადოების (თავდაცვა-ავიაქიმი) ცენტრალური საბჭოსაგან.

ჭრანგოზ ჯავად ყიზი **ხალილოვა** — ევლახის რაიონის 28 აპრილის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

გაჯი ალა ქერიმ - ოღლი **ორუჯევი** — პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა, პროფესორთა და ექიმთა წინასაარჩევნო კრებამ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დაასახელა ამხანაგი

კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავი

გუშინ, 26 აპრილს, დღის სრულ 3 საათსა და 30 წუთზე, თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს კლუბში გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად მოწვეული წინასაარჩევნო კრება, რომელმაც დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა.

კრება, რომელსაც 800-მდე კაცი დაესწრო, მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. თამარ კვანტალიანმა. სიტყვას პირველი ამბობს ექიმი ლ. გ. სარჩიმელია.

ექიმ ლ. გ. სარჩიმელიას სიტყვა.

ამხანაგებო! მიმდინარე წლის 12 ივნისს ორდენოსანი საქართველოს ბედნიერი ხალხი საქ. სს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობს სტალინური კონსტიტუციიდან, აირჩევს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს—საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

წყალი მეფისა და უბადრუკი მენშევიკების ბატონობის დროს მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვაზე არავინ ზრუნავდა.

დღეს კი სტალინური კონსტიტუციის კაშკაშა მზით განათებულ ქვეყანაში, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, როგორც სხვა დარგში, ისე სახალხო ჯანმრთელობის დარგშიაც ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი მიღწევები მოიპოვა. შექმნილია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი. უაღრესი ყურადღება ექცევა მშრომელთა სანიტარულ-საკურორტო მომსახურებას. მთელი ქვეყანა მოფენილია შესანიშნავად მოწყობილი სანატორიუმებით, სადაც სოციალიზმის მშენებლები ისვენებენ და იუმჯობესებენ თავიანთ ჯანმრთელობას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამედიცინო კადრების აღზრდას და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლას.

ამხანაგებო! ნება მომეცით საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელო სამედიცინო მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელი, მოწინავე საბჭოთა ექიმი, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის ენტუზიასტი, არაპარტიული ბოლშევიკი, პროფესორი კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავი.

პროფ. ნ. ი. მახვილაძემ განაცხადა:

— მივესალმები და მხარს ვუჭერ ამხ. სარჩიმელიას კანდიდატურას. იგი კეთილსინდისიერად ზრუნავდა, ზრუნავს და მომავალშიაც იზრუნებს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები: ექიმი მ. ტყავაძე, პ. მარტინოვი, და ალ. სეფიაშვილი. ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი პროფ. კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავის კანდიდატურას.

„საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, — ნათქვამია კრების მიერ ეთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — ჩვენ უდიდესი აღფრთოვანებით და ერთსულოვნად ვასახელებთ მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე მყოფ ერთგულ და თავდადებულ პროფესორს ამხ. კონსტანტინე დავითის-ძე ერისთავს“.

უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში

წინასაარჩევნო კრება ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში.

ფოტო გოლგენდორფისა და შმელიოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საქართველოს ბედნიერი ხალხი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს თავის საუკეთესო შვილებს

თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კრებამ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგები:

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი
სემიონ რაფაელის-ძე მილშტეინი
ალექსანდრე ავაქის-ძე აბარიანი

დიდი აღფრთოვანებით, ინტერესითა და პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა ნავთლუღის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრება. კომუნისტებმა და უპარტიოებმა ურყევი სტალინური ბლოკის საფუძველზე ერთხმად და ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

— ამხანაგებო! — ამბობს სიტყვით გამოსული მოწინავე სტახანოველი ამხ. დ. ბარანოვი. — საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ მთელი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ხალხებისათვის უსაზღვროდ საყვარელ ადამიანს, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის გამარჯვებანი, რომელიც ყოველდღიურად ამტკიცებს და აძლიერებს სოციალიზმის ქვეყნის შეურაცხებულ ძალებს — წითელ არმიას; მე ვასახელებ ამხანაგ კ. ვოროშილოვის კანდიდატურას.

შემდეგ სიტყვა ეძლევა სტახანოველ ქალს ამხ. ე. სოლოვეიოვას.

— ნავთლუღის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა, — ამბობს ამხ. სოლოვეიოვა, — ყარგად ვიცით, ვინ არის ამხ. მილშტეინი. ის ხშირად არის ჩვენთან. მან დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენს ფაბრიკაში მოკალათებული მტრების გამომჟღავნებასა და განადგურებაში, ის ფაბრიკის ხელმძღვანელებსა და მუშებს აძლევს რჩევა-დარიგებას, პრაქტიკულად ხელმძღვანელობს მათ, რათა დროზე აღმოიფხვრას მავნებლობის შედეგები, ფაბრიკამ თავი დააღწიოს ჩამორჩენას და მოწინავე სოციალისტურ საწარმოდ იქცეს.

— ამიტომ, ამხანაგებო, — განაცხადა მან — საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ს. მილშტეინს.

ნავთლუღის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ე. სოლოვეიოვას.

— ჩვენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ვასახელებთ სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილებს, რომელნიც ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი არიან.

ჩვენ ვასახელებთ დიდი სტალინის თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მარშალს, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს, რომლის სახელიც დაკავშირებულია მუშურ-გლეხური წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებთან და ჩვენი დიდი სამშობლოს თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებასთან.

ვასახელებთ აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახ. რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ს. რ. მილშტეინს და თბილისის სომხური აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამხ. ა. აბარიანი.

კრება ერთსულოვნად მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობისათვის წამოყენებული კანდიდატები.

— ჩვენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობისათვის წამოყენებულ კანდიდატებს, აი რას სწერენ ისინი თავიანთ რეზოლუციაში, რომელიც ერთხმად მიიღეს.

— ჩვენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ვასახელებთ სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილებს, რომელნიც ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი არიან.

ჩვენ ვასახელებთ დიდი სტალინის თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მარშალს, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს, რომლის სახელიც დაკავშირებულია მუშურ-გლეხური წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებთან და ჩვენი დიდი სამშობლოს თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებასთან.

ვასახელებთ აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახ. რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ს. რ. მილშტეინს და თბილისის სომხური აკადემიური თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელს ამხ. ა. აბარიანს.

—გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას!

— გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას, სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებათა ორგანიზატორს!

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა წინასაარჩევნო კრებამ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგები:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძე

ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კრებაზე, რომელსაც 1200-ზე მეტი კაცი დაესწრო, სიტყვები წარმოსთქვეს პროფ. გ. მუხაძემ, სტუდენტმა ლ. რატიანმა, გ. მშველიძემ, პროფ. ა. გულისაშვილმა, პ. დანელოვიჩმა და სხვ.

პროფ. გ. მ. მუხაძის სიტყვა

ამხანაგებო! დღეს საქართველოს მშრომელი ხალხი ერთხელ კიდევ გადახედავს ოქტომბრის რევოლუციის დიად მონაპოვარს, შეაჯამებს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგად მიღწეულ წარმატებებს.

ძალიან დიდი და მრავალფეროვანია ეს წარმატებანი. შედარებით მოკლე ხანში ჩვენი ქვეყანა მოიფინა ჰიდროელექტროსადგურებით, ფაბრიკა-ქარხნებით. წინათ ფეოდალურ-ბატონყმური უღლის ქვეშ მკმინავი მხარე გადაიქცა აყვავებულ ქვეყნად, სადაც ჰყვავის ბაღები, ვენახები, ციტრუსები, ჩაი.

ფართოდ გაიშალა კულტურის კერათა ქსელი. სკოლებით, უმაღლესი სასწავლებლებით, თეატრებით, კინოებით მოიფინა ორდენოსანი საქართველო.

ქართველი ხალხის ტექნიკური აზრი, რომლის განვითარებას მხარს უჭერს და მტკიცედ ეხმარება ლენინ-სტალინის პარტია, დიდი სტალინი, იზრდება და იფურჩქნება.

გვიახლოვდება რა 12 ივნისი—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე, ნება მომეცით საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად წამოვაყენო დიად წარმატებათა ორგანიზატორი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი და მეგობარი — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი (მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს! ვაშა!“).

ამხ. ლ. რატიანის სიტყვა

სტუდენტები და პროფესორები, შეკრებილნი საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მიძღვნილ კრებაზე, საქართველოს ყველა მშრომელებთან ერთად გამოვთქვამთ უსაზღვრო სიხარულს ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს მომავალი არჩევნების გამო. უდავოა, რომ ეს არჩევნები მოხდება დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

ჩვენი კანდიდატები საქ. სსრ უმაღლეს საბჭოში იქნებიან ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, ლენინ-სტალინის პარტიის, დიადი საბჭოთა ხალხის, დიდი სტალინის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის მთელი კოლექტივის სახელით წინადადება შემომაქვს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ იქნას ჩვენი ინსტიტუტის სახელგანთქმული მეცნიერი ორდენოსანი პროფესორი ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძე (ხანგრძლივი ტაში).

საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ - მასწავლებელთა საერთო კრების რეზოლუციიდან:

„ჩვენ, კიროვის სახელობის საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტობა და პროფესორ-პედაგოგთა შემადგენლობა, ინსტიტუტის 4-ათასიანი კოლექტივის სახელით მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მშრომელს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებს.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ჩვენ ვასახელებთ მშრომელი კაცობრიობის ბელადს რევოლუციის საყვარელ მეხაჯეს—ამხანაგ სტალინს, რომელმაც მოგვცა მშვენიერი და ბასიხარულო ცხოვრება. ასევე ერთსულოვნად ვასახელებთ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს ორდენოსან პროფესორს ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძეს, სამეცნიერო ფრონტზე დაუღალავ მებრძოლს, რომელმაც საქმით დაამტკიცა უსაზღვრო სიყვარული და თავდადება სოციალისტური სამშობლოსადმი“.

26 კომ. სახ. რაიონის ტრამვაის პარკში აგიტატორი გ. სტეფანოვი შესვენების დროს უკითხავს მუშებს „დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

კოლმეურნენი მადლობას უძღვნიან პარტიასა და მთავრობას კოლმეურნე გლეხობაზე სვალინური მზრუნველობისათვის

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნენი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ, კოლმეურნეობებში შემოსავლის არასწორად განაწილებისა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიმართ გადასახადთა და სხვა ვალდებულებათა შესახებ.

21 აპრილს სოფელ ყვარლის „დურუჯის“ კოლმეურნეობის წევრების“ წესით. 14 მათგანი ამჟამად უკვე აღდგენილია კოლმეურნეობის წევრის უფლებებში.

დამახასიათებელია ამ კოლმეურნეობისათვის აგრეთვე ის ფაქტი, რომ მისი ცალკეული წევრები განცხადებებში კოლმეურნეობიდან წასვლის მიზეზების შესახებ სწერდნენ — სურვილი გვაქვს მივიღოთ რაიმე სპეციალობაო. ასე სწერდა, მაგალითად, კოლმეურნე ანდრია ლაიერი. მან და სხვა კოლმეურნეებმა ვერ შესძლო მიეღოთ კოლმეურნეობაში ესა თუ ის სპეციალობა, იმიტომ, რომ კადრების მომზადებისათვის დანიშნული სასწავლებანი კოლმეურნეობას სანაცვლოდ თუ ჰქონდა ათვისებული.

უნდა აღინიშნოს, რომ მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას არ შეუსრულებია 1937 წელს საწარმოო-საფინანსო გეგმა. მთელი რიგი სასწარმოო ხარჯები დაგეგმილზე მეტი გამოვიდა 300 ათასი მანეთი (1.589 ათასი მან., წინააღმდეგ გეგმით გათვალისწინებული 1.289 ათასი მან.). ამ გადახარჯვას, ბუნებრივია, მოჰყვა შრომადღეზე გასანაწილებელი შემოსავლის ფონდის შემცირება.

აღნიშნავენ რა ყოველივე ამას, კოლმეურნენი მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს, რომლებიც მიმართული არიან მათი ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისაკენ, ისინი მადლობას გამოსთქვამენ პარტიისა და მთავრობისადმი კოლმეურნე გლეხობაზე სტალინური მზრუნველობისათვის.

ალფრთოვანებით შეხვდნენ

(ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

რაიონის კოლმეურნენი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს: „კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ“, „კოლმეურნეობებში შემოსავლის არასწორად განაწილების შესახებ“ და „ერთპიროვნულ მეურნეობათა მიმართ გადასახადთა და სხვა ვალდებულებათა შესახებ“.

გაზეთები, რომლებშიაც ეს დადგენილებანი იყო გამოქვეყნებული, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში ხელიდან ხელში გადადის. ქვემო-მაჩხაანის სოფლსაბჭოს 86 აგიტატორი კოლმეურნეებს გულდასმით უკითხავს პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს. კოლმეურნეები გაეცნენ ამყოლებენ კოლმეურნეობის წევრთა ხელობებით გარიცხვის ფაქტებს. საქობოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან დაუსაბუთებლად გარიცხულია 28 კოლმეურნე, მათ შორის ნატო კუტაბაშვილი, თეიმურაზ და აბრაძ ბაგალიშვილები, ეთერ, სანდრო და ივანო მჭედლიშვილები; აქვე გასულ წელს უმიზეზოდ გარიცხეს კოლმეურნე ევა მჭედლიშვილი (70 წლისა). მათი საკითხი უახლოეს დღეებში იქნება განხილული.

ს. ყურაშვილი.

იწონებენ მთავრობისა და პარტიის დადგენილებებს

ყვარელი, 23 აპრილი (საქდესი). ყვარლის რაიონის კოლმეურნეობები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ მთავრობისა და პარტიის დადგენილებებს კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვისა, კოლმეურნეობებში შემოსავლის არასწორად განაწილებისა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიმართ გადასახადთა და სხვა ვალდებულებათა შესახებ.

კოლმეურნეობის „გაჯანსაღების“ მიზნით, აქ ადამიანებს დასტობით რიცხავდნენ. მხოლოდ ერთ დღეს— 5 იანვარს „საკუთარი სურვილისამებრ“ გაინთავისუფლა თავი კოლმეურნეობიდან 6 კაცმა, ხოლო 23 კაცი გარიცხულ იქნა „გაჯანსაღების“ მიზნით.

კოლმეურნეობის ერასტი ბოლქვაძემ გადასწყვიტა შესულიყო სამუშაოდ თბილისის ტრამვაიში, კოლმეურნეობის გამგეობამ მაშინვე გარიცხა მისი ცოლი კოლმეურნეობიდან

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო-საარჩევნო კრებები უდიდესი პოლიტიკური სკოლაა პარტიის წევრისათვის

პარტკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასეს

(ბათუმი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შესდგა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. პარტკომის განვლილი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. მანიაფოვმა.

მოხსენების გარშემო გამართულ ჯამაში გამოვიდა 11 კაცი. რომორც მოხსენებიდან, ისე მოკამათეების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ პარტიული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობდა ქარხანაში პარტიული პროპაგანდისა და პოლიტიკური აგიტაციის გაშლას. პარტკომი არასოდეს არ ამოწმებდა, როგორ მუშაობდნენ აგიტატორები და წამკითხველ-მესაუბრენი. აგიტატორებთან თათბირები არ ტარდებოდა, ისინი მუშაობდნენ თვითდინებით, პარტკომის ხელმძღვანელობის გარეშე.

პარტკომს პარტიული სწავლებაც დავიწყებული ჰქონდა. პარტსაკანდიდატო სკოლაში გამეფებული იყო უდისციპლინობა, მსმენელები ხშირად აცდენდნენ მეცადინეობას, დაბალი იყო შეფასების ხარისხი და სხვ.

პარტიაში ახალ წევრთა მიღებისათვის პარტკომს ბევრი არაფერი გაუკეთებია. საანგარიშო პერიოდში პარტიის წევრობის კანდიდატად მხოლოდ 3 კაცი მიიღო და ამით დაკმაყოფილდა, სრულებით დაივიწყა მათთან პოლიტიკურ-ალმზრდელობითი მუშაობის გაშლა.

აქ არიან პარტიის წევრობის კანდიდატები, რომელთაც 6-7 წლის კანდიდატობის სტაჟი აქვთ, მაგრამ პარტკომი არ ზრუნავს პარტწევრებად მათი გადარიცხვისათვის.

მანქანათმშენებელი ქარხნის პირველადს პარტორგანიზაციაში რევოლუციური სიფხიზლე მოდუნებული იყო. ეს იმაში გამოიხატა, რომ ხალხის შენილბული მტერი, რომელიც ჭარგახანს აქ პარტკომის მდივნად იყო მოკალათებული და დამარცხებელ მუშაობას ეწეოდა, პარტორგანიზაციამ დროზე ვერ გამოამჟღავნა. გამოირკვა, რომ აქ არღვევდნენ ბოლშევიკური დემოკრატიის პრინციპებს. პარტკომის მდივნები ისე ცვლებოდნენ, რომ არ ამბარებდნენ ბგარიშს პარტკომის მუშაობის შესახებ.

მოკამათეებმა — ამხ. ტ. სუხარევმა, არ. ავანესიანმა, ოლ. სიომინამ, კოზუბმა, სვინაკოვმა და სხვ. მკაცრად გააკრიტიკეს პარტკომის მუშაობის სუსტი მხარეები, ისინი აღნიშნავდნენ, რომ პარტკომი არ ამოწმებდა ცალკეული კომუნისტებისათვის მიცემული პარტიული დავალებების შესრულებას.

პარტიულმა კრებამ პარტკომის განვლილი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასა და მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კრებამ პარტკომის ახალ შემადგენლობაში აირჩია ხუთი კაცი. პარტკომის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ალ. მანიაფოვი.

ბათუმის საქალაქო პარტკონფერენციაზე გასაგზავნად კრებამ 2 დელეგატი აირჩია.

ქ. დოგორჯგინიძე

26 კომუნარის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

თბილისის 26 კომუნარის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კომუნისტებმა 22 აპრილს ჩაიბარეს თავიანთი პარტიული კომიტეტის ერთი წლის მუშაობის ანგარიში.

ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა საანგარიშო მოხსენების შედგენას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. მოხსენების შესადგენად წინასწარ სერიოზულად მუშაობდა არა მარტო პარტიული კომიტეტის მდივანი, არამედ მასთან ერთად პარტკომის მთელი შემადგენლობა. საანგარიშო მოხსენების თვითეულ ნაწილს ამზადებდა პარტკომის ერთერთი წევრი. ამით აიხსნება, რომ მოხსენება მდიდარი იყო ფაქტებით, დავიწყებული არ იყვნენ ცოცხალი ადამიანები და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარტკომის მდივანი ამხ. გ. მოსიძე ნაკლებად შეეხო პარტიული მუშაობის მთელ რიგ ძირითად საკითხებს. მაგალითად, მომხსენებელს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რა პრაქტიკული ღონისძიებანი გაატარა პარტორგანიზაციამ ქარხანაში მავნებლობის შედეგების სალიკვიდაციოდ, რა მუშაობა იქნა ჩატარებული სკპ. კ. პ. (ბ) იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, როგორ მუშაობდა პარტკომი პარტიის რეზერვთან და სხვ.

მოხსენების ირგვლივ გამართულმა კამათმა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა: მოკამათეებმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტიული კომიტეტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და მიუთითეს იმ ღონისძიებებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა უახლოეს დროში.

პარტიული პროპაგანდა ქარხანაში

26 კომუნარის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციაში 77 კომუნისტი ირიცხება. მათთვის შექმნილია 7 პოლიტწრე. როგორ მუშაობენ ეს წრეები?

კრებაზე სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა ბ. ბოტოვმა, ა. ხაჩატუროვმა, მიხაილოვმა და სხვ. აღნიშნეს, რომ პოლიტწრეების მუშაობაში მრავალი ნაკლოვანებაა. წრეების მსმენელთა დიდი ნაწილი კონსპექტებს არ ადგენს და მეცადინეობაზე მოუმზადებელი მოდის. პროპაგანდისტები არ ასწავლიან მსმენელებს კონსპექტების შედგენას, წიგნზე მუშაობას. ზოგიერთი ამხანაგი კი სრულიად არაა ჩაბმული არცერთ პოლიტწრეში. ასეთებია, მაგალითად, ამხ. შარაბიანი, რუსაძე, იაშვილი, პოლოსუხი და სხვები. პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის (რუსულ ენაზე) მეცადინეობა 2 თვის განმავლობაში არ შემდგარა პროპაგანდისტის უყოლობის გამო.

ზოგიერთი პარტწრე არასწორად არის დაკომპლექტებული. ზოგიერთი ამხანაგი მრავალი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ტიპის პოლიტწრეში სწავლობს.

ხელმძღვანელობას მოკლებული აგიტატორები

საამქროებში აგიტაციის გასაშლელად პარტკომმა 34 აგიტატორი გამოჰყო, მაგრამ შემდეგ მათ სათანადო ხელმძღვანელობა აღარ გაუწია. ამის შედეგად მეტწილ საამქროებში აგიტაციას შემთხვევითი ხასიათი აქვს. სახარატო საამქროში, სადაც მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი რუსებია, აგიტაცია რუსულ ენაზე სრულიად არ ტარდება.

პარტიული კომიტეტი არ ისმენს აგიტატორთა მოხსენებებს, არ ამოწმებს, რას აკეთებენ ისინი და არ ეხმარება მუშაობაში.

პარტკომის მდივანმა თავის საანგარიშო მოხსენებაში აგიტაციის სუსტად დაყენება ჯგუფის პარტორგების სუსტ მუშაობას მიაწერა, თვით პარტკომზე კი არაფერი უთქვამს.

სიტყვით გამოსულმა ამხ. შ. ლოზინსკაიამ აღნიშნა, რომ საამქროთა კედლის გაზეთები სუსტად მუშაობენ, ისინი პარტიული ცხოვრების საკითხებს ცუდად აშუქებენ. მან ილაპარაკა აგრეთვე პარტკაბინეტის არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე, აღნიშნა, რომ პარტიული კაბინეტი თითქმის მუდამ დაკეტილია.

კრებაზე მრავალმა ორატორმა (ე. მოსესოვმა, ა. კარდაშიანმა და სხვ.) აღნიშნა, რომ ძალიან ცუდად მუშაობს აგრეთვე ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი „მანქანათმშენებელი“. პარტკომი არ ხელმძღვანელობდა მრავალტირაჟიან გაზეთს, ამით აიხსნება, რომ მომდინარე წელს „მანქანათმშენებლის“ მხოლოდ 5 ნომერია გამოსული და ამ ნომერშიაც დაბალი ხარისხის მასალები იყო მოთავსებული.

უკეთ ვიმუშაოთ პარტიის რეზერვთან!

26 კომუნარის სახელობის ქარხანაში 245 საუკეთესო სტახანოველია. ისინი საშუალოდ 150-200 პროცენტით ასრულებენ საწარმოო-საფინანსო გეგმას და ეწევიან აქტიურ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობას. ძლიერია ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციაც: მასში 136 კაცი ირიცხება. მრავალი კომკავშირელი სოციალისტური შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევა.

როგორ მუშაობდა პარტკომი პარტიის ამ რეზერვთან?

პარტკომის მდივანი თავის საანგარიშო მოხსენებაში გაკვრით შეეხო კომკავშირისადმი ხელმძღვანელობას და სხვათა შორის მოიხსენია პარტიული მუშაობის ეს უმნიშვნელოვანესი უბანი.

პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოვიდა ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ამხ. ა. სარქისიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ პარტიულ კომიტეტს ფაქტიურად დავიწყებული ჰქონდა კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა. პარტიის წევრები არ ესწრებიან კომკავშირის კრებებს, პარტკომმა არ იცის, რას აკეთებს კომკავშირის ქარხნის ორგანიზაცია. ამით აიხსნება თუნდაც ის ფაქტი, რომ 1938 წელს მხოლოდ 4 კომკავშირელი მიიღეს სკპ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად.

პარტკომის მხრით კომკავშირისადმი ცუდი ხელმძღვანელობის შესახებ ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ს. ჭოხონელიძემ, ა. კარდაშიანმა, შ. წამალაშვილმა და ა. ზაკომოლდინმა. მათ სთქვეს, რომ ქარხანაში 300-ზე მეტი ახალგაზრდაა, მათგან კომკავშირში მხოლოდ 136 კაცია. ეს კომკავშირისადმი ცუდი პარტიული ხელმძღვანელობის შედეგიაო.

კრებაზე მრავალმა ორატორმა (ე. მოსესოვმა, ა. კარდაშიანმა და სხვ.) აღნიშნა, რომ ძალიან ცუდად მუშაობს აგრეთვე ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი „მანქანათმშენებელი“. პარტკომი არ ხელმძღვანელობდა მრავალტირაჟიან გაზეთს, ამით აიხსნება, რომ მომდინარე წელს „მანქანათმშენებლის“ მხოლოდ 5 ნომერია გამოსული და ამ ნომერშიაც დაბალი ხარისხის მასალები იყო მოთავსებული.

უკეთ ვიმუშაოთ პარტიის რეზერვთან!

26 კომუნარის სახელობის ქარხანაში 245 საუკეთესო სტახანოველია. ისინი საშუალოდ 150-200 პროცენტით ასრულებენ საწარმოო-საფინანსო გეგმას და ეწევიან აქტიურ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობას. ძლიერია ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციაც: მასში 136 კაცი ირიცხება. მრავალი კომკავშირელი სოციალისტური შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევა.

პარტკომის მდივანი თავის საანგარიშო მოხსენებაში გაკვრით შეეხო კომკავშირისადმი ხელმძღვანელობას და სხვათა შორის მოიხსენია პარტიული მუშაობის ეს უმნიშვნელოვანესი უბანი.

პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვით გამოვიდა ქარხნის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ამხ. ა. სარქისიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ პარტიულ კომიტეტს ფაქტიურად დავიწყებული ჰქონდა კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა. პარტიის წევრები არ ესწრებიან კომკავშირის კრებებს, პარტკომმა არ იცის, რას აკეთებს კომკავშირის ქარხნის ორგანიზაცია. ამით აიხსნება თუნდაც ის ფაქტი, რომ 1938 წელს მხოლოდ 4 კომკავშირელი მიიღეს სკპ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად.

პარტკომის მხრით კომკავშირისადმი ცუდი ხელმძღვანელობის შესახებ ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ს. ჭოხონელიძემ, ა. კარდაშიანმა, შ. წამალაშვილმა და ა. ზაკომოლდინმა. მათ სთქვეს, რომ ქარხანაში 300-ზე მეტი ახალგაზრდაა, მათგან კომკავშირში მხოლოდ 136 კაცია. ეს კომკავშირისადმი ცუდი პარტიული ხელმძღვანელობის შედეგიაო.

საანგარიშო-საარჩევნო მოხსენების ირგვლივ გამართულმა კამათმა გამოარკვია, რომ სუსტია აგრეთვე მუშაობა უპარტიო აქტივისტ მუშებსა და თანამგრძნობებს შორის. ამით აიხსნება, რომ პარტიის რიგების ზრდა ძალიან ნელი ტემპით ხდება.

○

პარტკომის მდივნის ამხ. შოსიძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ს. იშხანოვმა (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი), ამხ. თოფურიძემ (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილების გამგე) და ამხ. მ. ჩუბინიძემ (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის მდივანი).

ვ. რატიანი
ი. ყურულოვი

თბილისის გარეუბნის ამხ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გ. კვანტალიანი (მარჯვნივ) საკ. კ. პ. (ბ) რიგებში ახალმიღებულ ამხანაგებს ე. წულაიას, ს. ჯღარკავას და კ. მელქაძეს უკითხავს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის 1938 წ. 9 აპრილის დადგენილებას საქართველოს პარტორგანიზაციებში ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა არჩევნების ჩატარების შესახებ.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

გაიზარდნენ და დაწინაურდნენ ახალი კადრები

(ბორჯომი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ბორჯომის საკასრე ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება 4 საათზე გაიხსნა. კრებას დაესწრო პარტიის 30 წევრი და პარტიის წევრობის 18 კანდიდატი. არასაპატიო მიზეზით კრებას დააკლდა ორი ამხანაგი.

პარტკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტკომის მდივანმა ამხ. გრ. გელაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საკასრე ქარხნის პარტორგანიზაციამ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საქმეში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. საკ. კ. პ. (ბ) რიგებში ახალ წევრთა მიღების განახლების დღიდან პარტიაში მიღებულია 26 კაცი — ქარხნის საუკეთესო სტახანოველები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებულია 8 კაცი. გაიზარდა კომუნისტების საწარმოო-პოლიტიკური აქტივობა. საკასრე ქარხანამ გასული სამეურნეო წლის გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება შესრულებულია 101 პროცენტით, ხოლო მარტის გეგმა — 115 პროცენტით. თუ გასულ წელს ქარხანას 53 სტახანოველი ჰყავდა, ახლა სტახანოველთა რიცხვი 95-მდე აღწევს. ამ მიღწევებში გამოიხატება პარტიული ორგანიზაციის ენერგიული მუშაობა.

საკასრე ქარხანაში გაიზარდნენ და დაწინაურდნენ ახალგაზრდა კადრები. მაგალითად, ქარხნის ზეინკალი ამხ. გ. ყეინიშვილი ახლა მთავარ მექანიკოსად მუშაობს, ცვლის ინჟინერი ამხ. პრ. ღვალაძე ქარხნის დირექტორად იქნა დაწინაურებული.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა: ვ. ჯიქიამ, ი. ჩადუნელმა, მ. რამიშვილმა, ნ. ლონდარიძემ, ვ. მშვილდიშვილმა, გ. მეხოშვილმა, ა. აზრუმელიშვილმა, ბერეკაშვილმა, ტალახაძემ და სხვ. აღნიშნეს, რომ პარტსწავლების საქმე არა დგას ჯეროვან სიმაღლეზე; პოლიტსკოლები უზრუნველყოფილი არ არიან რუკებით, დამხმარე პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით. ნორმალური ტიპის პოლიტსკოლის პროპაგანდისტმა ამხ. ს. გუგუშვილმა 6-ჯერ ჩაშალა ამ პოლიტსკოლის მეცადინეობა. მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. პარტიული კომიტეტი იშვიათად ისმენდა პროპაგანდისტებისა და მსმენელების მოხსენებებს. სუსტად მუშაობს პარტკაბინეტი. იგი ვერ აკმაყოფილებს პარტიული მასების გაზრდილ მოთხოვნილებას. პარტკაბინეტის ბიბლიოთეკა ღარიბია პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული თანამგრძნობებთან მუშაობა. თანამგრძნობები ამხ. დაბარუნდაშვილი, ბაბიაშვილი და მჭედლიშვილი მოკლებული არიან პარტორგანიზაციის მზრუნველობას და დახმარებას.

მოკამათეებმა მკვეთრად გააკრიტიკეს ძირეული, საქარხნო პრესისა და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების სუსტი მუშაობა, რომლებსაც არასაკმაო ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევდა პარტიული ორგანიზაცია.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ პარტიული კომიტეტი და ქარხნის დირექცია ჯეროვან დახმარებას ვერ უწევენ სტახანოველებს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

პარტიულმა კრებამ პარტკომის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა. პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში კრებამ აირჩია შვიდი ამხანაგი. პარტკომის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. გრ. გელაშვილი.

ბორჯომის რაიონის პარტკონფერენციის დელეგატებად გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ იქნა 6 ამხანაგი, სათათბირო ხმით—2.

გრ. ლომიძე

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ

საჭაო მეურნეობის მმართველობის შესახებ

დღემდე შინსახკომის გზატკეცილების მთავარ სამმართველოს გამგებლობაში მოქცეული იყო არა მარტო საერთო-საკავშირო, არამედ რესპუბლიკური და საოლქო მნიშვნელობის გზატკეცილები და გრუნტის გზები, რაც საშუალებას არ აძლევდა შინსახკომის გზატკეცილების მთავარ სამმართველოს თავისი ძალები და ყურადღება მიემართა უმნიშვნელოვანესი გზებისაკენ, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე ეს ასუსტებდა რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების პასუხისმგებლობას რესპუბლიკური და ადგილობრივი საგზაო მეურნეობის მდგომარეობისათვის. ამის გამო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საჭირო სცნო მოახდინოს საგზაო მეურნეობის მმართველობის რეორგანიზაცია.

მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების წინადადებას მიეცათ, ამ რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისად, შეჰქმნან მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან მთავარი საგზაო სამმართველოები; ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან — საგზაო სამმართველოები და საოლქო და სამხარეო აღმასრულებელ კომიტეტებთან — საგზაო განყოფილებანი. ამ ორგანოებს შინსახკომის ორგანოების გამგებლობიდან გადაეცემათ გზატკეცილები და გრუნტის გზები, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა არ აქვთ, დაახლოებით 66.000 კილომეტრი საერთო მანძილით სათანადო საბიუჯეტო ასიგნებებთან და მატერიალურ-ტექნიკურ ფონდებთან ერთად, აგრეთვე 67 სამანქანო-საგზაო სადგური და რაზმი. მათვე გადაეცემათ გზის მშენებლობისა და რემონტის სამუშაოთა ორგანიზაციის მთელი საქმის ხელმძღვანელობა სოფლის მოსახლეობის მრომითი მონაწილეობით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გზატკეცილების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში სსრკ სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დასტოვოს მარტო საერთოსაკავშირო მნიშვნელობის გზების მშენებლობა და მმართველობა იმ სიით, რომელიც დამტკიცებულია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ (მაგისტრალური, საგარეო ვაჭრობის, საკურორტო და მოსკოვში მისასვლელი გზებისა). ამ გზების შენახვა და რემონტი დაკისრებული აქვს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გზატკეცილების სამმართველოებსა და განყოფილებებს, მხარეებსა და ოლქებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოებს და აგრეთვე ცალკეული გზების სამმართველოებს.

ორი „თავმჯდომარე“

ნიკო მარაული 1937 წელს სოფ. შარახევის (თიანეთის რაიონი) კოსარევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ითვლებოდა. მთელ თავის მუშაობას იგი კოლმეურნეობის საზიანოდ მიმართავდა. შარაულმა თავი „ისახელა“ თვითნებობით და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით. სანამ თავმჯდომარედ იყო, თავის გარშემო არავის აძჩენდა და ცდილობდა რაც შეიძლება მეტად ესარგებლნა მდგომარეობით. საკარმიდამო ადგილი სამგან მაიზომა, რაც ნორმაზე გაცილებით მეტია.

„თავმჯდომარეს“ არ ენაღვლებოდა კოლმეურნეობის ქონება, ფლანგავდა და ანიავებდა მას თავისი პირადი სარგებლობისათვის. კოლექტივის ერთი ულელი საუკეთესო ხარები მეზობელ კოლმეურნეობას შედარებით ცუდ ხარებში გადაუცვალა. ამბობენ, მარაულმა 300 მანეთი სართი აიღოო, მაგრამ კოლმეურნეობის შემოსავალში ამ თანხის ჩარიცხვა არავის უნახავს. 100 ფუთამდე თივა, რაც განაწილებული იყო კოლმეურნეებზე, მარაულმა არ დაარიგა და დაალპო.

ნიკო მარაული საკმაოდ გაჭნილი აღმოჩნდა, როგორც აფერისტი. 1937 წელს საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მაშინდელ მდივანს ერთი კილო საუკეთესო სათესლე ხორბალი აჩუქა და ალუთქვა, შემდინარე წელს კოსარევის სახელობის კოლმეურნეობა სულ ასეთ თესლს დათესავო. ნამდვილად კი ეს საუკეთესო სათესლე მარაულმა თბილისის ბაზარზე გაჰყიდა, კოლმეურნეობის 27 ჰექტარ ნაკვეთზე კი სრულიად უვარგისი ხორბალი და ქერი დათესა, რის შედეგად კოლმეურნეობამ ძალიან ცუდი მოსავალი მიიღო.

მარაულის თავმჯდომარეობის დროს იშვიათი არ იყო მოსავლის აღების განზრახ დაგვიანების შემთხვევები.

1937 წელს ქერი დაგვიანებით აიღეს, თავმჯდომარემ ის სველი გალეწა და საწყობში გაუშრობლად ჩაყარა. როგორც მოსალოდნელი იყო, ასე შენახული 72 ფუთი ქერი დაწვა. ამავე წელს აღების დაგვიანების გამო მინდორში დალპა 200 ფუთი თივა.

ვი იქას, ვინც გაბედავდა და ხმას ამოიღებდა ნ. მარაულის წინააღმდეგ. იგი პირში ბურთს სჩრიდა ყველას, ვისაც კი შეამჩნევდა მისი მავნებლობის მხილების განზრახვას. იმდენად გათავხედდა, რომ ლუკა და ლევან მარაულებს, რომლებმაც ამხილეს მისი დანაშაულობანი, ორჯერ ესროლა რევოლვერი, მაგრამ ვერცერთს ვერ მოახვედრა.

ნიკო მარაულის მარჯვენა ხელი და ჩამოთვლილ დანაშაულობებში თანამონაწილე იყო შარახევის სოფლსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ალ. ქვეშაკაშვილი. ეს ორი არამზადა ერთ სახლში ცხოვრობდა. ქვეშაკაშვილი სისტემატურად ლოთობდა, მას მარაულის მხილების არც სურვილი ჰქონდა და არც „ეცალა“ საამისოდ. ერთხელ, როცა ჩვეულებრივად გალეშილი იყო, სოფლსაბჭოს ბეჭედი დაჰკარგა.

ქვეშაკაშვილიც ხომ თავმჯდომარეა — რატომ უნდა ჩამორჩეს იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში! სხვა რაიონის მცხოვრებლებს მან მუშა-ბირუტყვის ბაზარზე გაყიდვის ნებართვები მისცა, რაც მისი საქმე არ იყო.

თიანეთის რაიონის ხელმძღვანელობამ იცოდა ორი „თავმჯდომარის“ მოქმედება. მის ხელთ იყო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პარტ-საბჭოთა კონტროლისა და „კომუნისტის“ რედაქციისაგან გაგზავნილი მასალები მარაულისა და ქვეშაკაშვილის შესახებ. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ დაესაჯა ისინი, მარაულს თანამდებობიდან მოხსნა აკმარა, ქვეშაკაშვილი კი მეორე სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ გადაიყვანა. ნუ თუ დამნაშავენი არ უნდა დაისაჯნენ?

ს. ნათელაშვილი

„ფოლადაური“

მილიონერ კოლმეურნეობას მეთაურობს ძველი პარტიზანი ნებისარი. ორგანიზატორულმა უნარმა, სათუთმა და გულისხმიერმა დამოკიდებულებამ ადამიანებისადმი ნებისარს უდიდესი პოპულარობა მოუპოვა კოლმეურნე მასებში. გამხეცებული მტერი მიზანში იღებს ასეთ მუშაკს, რომ მოაშოროს კოლმეურნეობის საჭეს ასეთი გამოცდილი ხელმძღვანელი და ამით ზიანი მიაყენოს მეურნეობას. მავნებელთა ორგანიზაციის მეთხებით ნებისარს იწვევენ „გადასამზადებელ კურსებზე“.

ძველი ოფიცერი ევსეი ერდელი მილიონერ კოლმეურნეობაში შემძვრალა მოანგარიშედ ხარიტონის სახელით.

კოლმეურნეობის სათავეში რჩება ნებისარის მოადგილე გოჩილო. ეს პოლიტიკურად უდარდელი და დოყლაპია ხელმძღვანელი რევოლუციურ სიფხიზლეს მოკლებული აღვილად მოექცა ხარიტონის გავლენის ქვეშ.

კოლმეურნეობაში არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ჯერ არ განთავისუფლებულან ინდივიდუალისტური შეხედულებებისაგან. ხარიტონი დასაყრდენს ასეთ ელემენტებში ეძებს. ხარიტონი შეძებარივით ყნოსავს. მან იცის, ვინ რით სულდგმულობს. ყოფილ კულაკ ფრიდონთან, რომელიც მხოლოდ თავის საკუთარ კარმიდამოზე ფიქრობს, ხარიტონი მეტად გულახდილია, მასთან მოურიდებლად ლაპარაკობს კაპიტალიზმის რესტავრაციაზე. იგი ეწევა დემაგოგიას, ავრცელებს პროვოკაციას იმ ჯანსაღი ურთიერთობის წინააღმდეგ, რომელიც იქმნება შრომის პროცესში. ახალი ყოფაცხოვრება ხარიტონს უზნეობად მიაჩნია. როგორ გაბედეს ქალიშვილებმა შეჯიბრებაში გამოეწვიათ ვაჟები. ის ამხედრებს მოხუცებს და თავისკენ გადაიბირებს გოჩილოსაც.

ხარიტონი ანგარიშში მოტყუვდა. წავიდა ნებისარი, მაგრამ დარჩა ფიზიზელი და მტკიცე გიორგი ფოლადაური, კოლმეურნეობის პარტორგანიზატორი. მავნებლური მუშაობა ხარიტონისათვის არც ისე იოლია. ის გოჩილოს ამხედრებს გიორგის წინააღმდეგ. გოჩილო საბოლოოდ მოექცა ხარიტონის კლანჭებში და მახვილს ლესავს გიორგის წინააღმდეგ.

ფოლადაური მედგარი და გაბედულია. ის ფიზიზლად აღევნებს თვალყურს ყოველივე წვრილმანს. მისი სიძლიერე იმაშიაც გამოიხატება, რომ დარაზმული ჰყავს აქტივი წარჩინებული ადამიანებისაგან. აქ არიან წითელარმიელი ზაქარია, მოწინავე ტრაქტორისტი ქალი მარინე, იასე, ანიკო, თებრო და სხვები. მტერი ანგარიშში მოტყუვდა... მას დანაშაულზე წაასწრეს. ბნელ საქმეებს ფარდა აეხადა. ხარიტონი ნილაბახდილია.

ამ ფონზეა გაშლილი დრამატურგ სანდრო შანშიაშვილის ახალი პიესა „ფოლადაური“. მთავარი ღირსება ამ პიესისა მდგომარეობს იმაში, რომ ს. შანშიაშვილი ახალ საკოლმეურნეო ცხოვრებას ასახავს ფართო მხატვრულ ფორმებში.

შესანიშნავი ოსტატობითაა პიესაში გამოხატული ადამიანური სახეები. თვითეული ტიპი პიესისა დამაჯერებელია. ქართულ დრამატურგიაში ბევრი რამ დაიწერა საკოლმეურნეო თემატიკაზე, მაგრამ დღემდე არ მოგვეპოვება ასე დამაჯერებლად ასახული კოლმეურნე კომუნისტების გმირული სახეები, მხატვრულად მოცემული ახალი საყოფაცხოვრებო ურთიერთობა, შეძლებული ცხოვრება და ჯანსაღი სიყვარულის გრძნობა. პიესას სდგამს რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი.

ვ. დეკაძე

ნინოწმინდის რაიონის ხალხური სასახლის დირექტორის ვაკანსიაა

ნინოწმინდა, 25 აპრილი (ტელეფონი). სამუშაო „ტელეფონი სანდოობისათვის“ სა-ქონის). ნინოწმინდის ქალაქ-სოფლებს შორის ტელეფონით საუბრის ხანგრძლივობა 27 აპრილის დაწყებული ნინოწმინდის ქალაქთაშორისი ტელეფონის სადგურის ოპერატორები ნინოწმინდის ქალაქ-სოფლებს შორის ტელეფონით საუბრის ხანგრძლივობას ავტომატურად ითვლიან.

ნინოწმინდის ქალაქთაშორისი ტელეფონის სადგური ავტომატურ ტელეფონს ამონტაჟებს

ნინოწმინდა, 25 აპრილი (ტელეფონი). „ნინოწმინდის ქალაქთაშორისი ტელეფონის სადგური“ სა-ქონის). ნინოწმინდის ქალაქ-სოფლებს შორის ტელეფონით საუბრის ხანგრძლივობა 27 აპრილის დაწყებული ნინოწმინდის ქალაქთაშორისი ტელეფონის სადგური ავტომატურად ითვლიან.

ნინოწმინდის რაიონის ხალხური სასახლის დირექტორის ვაკანსიაა

ნინოწმინდა, 25 აპრილი (ტელეფონი). ნინოწმინდის რაიონის ხალხური სასახლის დირექტორის ვაკანსიაა. ამ თანამდებობაზე მოსალოდნელი კანდიდატები ნინოწმინდის რაიონის ხალხური სასახლის დირექტორის ვაკანსიაა. ამ თანამდებობაზე მოსალოდნელი კანდიდატები ნინოწმინდის რაიონის ხალხური სასახლის დირექტორის ვაკანსიაა. ამ თანამდებობაზე მოსალოდნელი კანდიდატები

ნინოწმინდის რაიონის ხალხური სასახლის დირექტორის ვაკანსიაა

ნინოწმინდა, 25 აპრილი (ტელეფონი).